თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3909204

ნომერი: AR1592171

თარიღი : 12.04.2018

გაცემის თარიღი : 12.04.2018

გაცნობის თარიღი : 12.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, არქანჯელო ლამბერტის ქუჩა, N 35;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტისარქიტექტურისსამსახურის2018 წლის 16 მარტის №3867574 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურს 2018

წლის 12 აპრილს №AR1592171 განაცხადით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და ამავე სამსახურის 2018 წლის 16 მარტის №3867574 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა. სამსახურმა, საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომსამსახურის 2018 წლის 16 მარტის №3867574 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელი დიღომში საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.040.670) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ამავე სამსახურის 2018 წლის 28 მარტის №3887825 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 28 მარტიდან 2020 წლის 28 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 16 მარტის №3867574 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და არასწორად არის მითითებული კიბის უჯრედისა და სადარბაზოს და საერთო ფართობები. წინამდებარე განცხადებით განმცხადებელმა წარმოადგინა გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები: კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:396; საერთო ფართობი (კვ.მ).:3336.7;
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგადდაადგინა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩათვალადააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასაქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 16 მარტის №3867574 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:396; საერთო ფართობი (კვ.მ).:3336.7.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2018 წლის 16 მარტის №3867574 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 16 მარტის №3867574 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.